ა(ა)იპ „ჩემი ადვოკატი“
მუდამ თქვენი უფლებების დაცვაში

07 05 02 - იურიდიული კლინიკა
2021 წლის - 6 თვის ანგარიში
(25.12.2020-30.06.2021)

ა(ა)იპ „ჩემი ადვოკატი“ თბილისის მერიის პროექტია, რომელიც ძირითადად თბილისის მოსახლეობას სრულიად უსასყიდლოდ ეხმარება სამართლებრივი საკითხების გადაჭრაში. ორგანიზაცია მოქალაქეებს დახმარებას უწევს, როგორც სასამართლო დოკუმენტაციის შედგენაში, ასევე ახორციელებს წარმომადგენლობას, როგორც სასამართლო ისე ადმინისტრაციულ ორგანოებში. ორგანიზაცია ყოველწლიურად 20 000-ზე მეტ მოქალაქეს ეხმარება სამართლებრივი საკითხების გადაჭრაში.

“ჩემი ადვოკატის” ძირითადი მისია არის დამწყები იურისტებისთვის პრაქტიკული განათლების მიცემა, პროფესიონალ ადვოკატებად ჩამოყალიბება და ამ მისიის განსახორციელებლად მოსახლეობისთვის მაღალი ხარისხის უფასო სამართლებრივი დახმარების გაწევა სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, სამეწარმეო და ინტელექტუალური სამართლის სფეროებში.

ა(ა)იპ “ჩემი ადვოკატი”:

- ეხმარება თბილისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას სამართლებრივი პრობლემების გადაჭრაში;
- ხელს უწყობს ნიჭიერ დამწყებ იურისტებს დასაქმებაში და მოხალისეობის განვითარებას;
- მოსახლეობას აწვდის ინფორმაციას პრობლემურ და მიმდინარე სამართლებრივ საკითხებზე.

ორგანიზაცია ბენეფიციარებს თბილისის ათივე რაიონში უწევს მომსახურებას და მოქალაქეებს საკუთარ უბანში, საცხოვრებელ სახლთან ახლოს შეუძლიათ უფასო იურიდიული დახმარების მიღება. ასევე ბენეფიციარების მიღება მე-11 ოფისში, თბილისის მერიაში არსებულ, „ჩემი ადვოკატის“ სივრცეში ხორციელდება.
ორგანიზაციას ასევე აქვს ცხელი ხაზი, სადაც ყოველდღიურ რეჟიმში, სახლიდან გაუსვლელად, მოქალაქეებს შეუძლიათ ზეპირი კონსულტაციის მიღება.

იურიდიული კლინიკის ფარგლებში ხორციელდება უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების სტაჟირება და პროფესიაში შესვლის ხელშეწყობა, ასევე სემესტრულად ორგანიზაცია ახორციელებს მოხალისეთა მიღებას.

6 თვის მანძილზე ორგანიზაციამ განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- ორგანიზაციაში პრაქტიკული სწავლების კურსი გაიარა 100-მა სტუდენტმა.

- სტუდენტების პრაქტიკული სწავლების დისტანციურ ფორმატში გასახორციელებლად შემუშავდა სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა და შესაბამისი წესი. ორგანიზაციამ სამართლებრივი პრაქტიკის დისტანციური სწავლებისათვის შექმნა ინოვაციური

პროექტი - ორგანიზაციაში შემოსული საქმეების მიხედვით გაკეთდა ვიდეო ქეისები რაც ერთის მხრივ ტრენერ-ადვოკატებს საგანმანათლებლო პროცესის გამრავალფეროვნებაში ეხმარება, ხოლო მეორეს მხრივ სტუდენტს უქმნის უშუალოდ უბანზე დასწრების შთაბეჭდილებას და ეხმარება თეორიული მასალის მარტივად ათვისებაში.

- განხორციელდა თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა;

- ორგანიზაციამ 2021 წლის მაისში ჩაატარა კვლევა (საკვლევი პერიოდი 2019 წ, 2020 წ, 2021 წ. მაისის ბოლო) კვლევამ აჩვენა, რომ ორგანიზაციაში პრაქტიკა გვალილი სტუდენტების თითქმის ნახევარი (47%) დასაქმდა თავისი პროფესიით.

- პრაქტიკანტ სტუდენტთათვის სერტიფიკატების გადაცემა;

რაიონულ ოფისებში 6 თვის განმავლობაში დასაქმებული იყო 5 ადვოკატის თანაშემწე 6 სხვადასხვა უბანზე, აღნიშნული დასაქმების პროგრამას ორგანიზაცია 2017 წლის ნოემბრიდან ახორციელებს. ადვოკატის თანაშემწის პოზიციებზე გამორჩეული და წარმატებული პრაქტიკანტ/სტაჟიორები ირჩევიან/ინიშნებიან. აღნიშნული პოზიციის შემოღება მიზნად ისახავდა:

- სამუშაო სტაჟის მიცემას მათთვის, ვისაც ახლად დამთავრებული აქვთ უნივერსიტეტი და გამოირჩევა მონდომებით, აქტიურობით და შესაბამისი უნარ-ჩვევებით.
- ახალგზრდების დასაქმებას;
- მოქალაქეებისათვის სწრაფი და ეფექტიანი მომსახურების გაწევას;
- ტრენერ-ადვოკატის დატვირთვის შემცირებას, ძირითადად ისეთ უბნებზე, სადაც მომართვიანობაა მაღალი.

საანგარიშო პერიოდის მანძილზე ა(ა)იპ „ჩემი ადვოკატი“ სხვადასხვა უმაღლესი სასწვალებლების სტუდენტებმა სავალდებულო იურიდიული პრაქტიკის კურსი გაიარეს, ჯამში ორგანიზაციამ **100** სტუდენტი გადაამზადა, მათ შორის:

მოხალისე	61
პრაქტიკანტი	39

მოხალისეები პრაქტიკისა და სტაჟირების გავლის დროს, თეორიულ ცოდნას გარდასახავენ პრაქტიკულ საქმიანობაში, რა დროსაც იძენენ ფასდაუდებელ გამოცდილებასა და უნარ-ჩვევებს მათი შემდგომი პროფესიული საქმიანობისა და განვითარებისათვის. სტუდენტები პრაქტიკის მანძილზე ეუფლებიან საადვოკატო საქმიანობასა და სწავლობენ მოქალაქეებთან ურთიერთობას.

სტუდენტები პრაქტიკის მანძილზე იძენენ შემდეგი სახის უნარებს:

1. მოქალაქესთან ინტერვიუს ჩატარების ტექნიკა;
2. კონსულტაციის გაწევა;
3. სამართლებრივი დოკუმენტის შედგენა (განცხადება/სარჩელი/საჩივარი და სხვ.);
4. სასამართლო პროცესზე დასწრება და პროცესის ანალიზის შედგენა;
5. სამართლებრივი დასკვნის შედგენა.

რაც შეეხება „იურიდიულ კლინიკას“ უფასო სამართლებრივი დახმარების მიმართულებით, პირველ კვარტალში ორგანიზაციაში განახორციელდა **5,170** **მომართვა.**

სოციალური სტატუსიის მიხდევით მომართვიანობა შემდეგნაირია :

სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი	855
პენსიონერი ასაკისა გამო	1,000
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე	42
იძულებით გადაადგილებული	203
სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი და შშმ პირი	30
პენსიონერი ასაკისა გამო და შშმ პირი	32
იძულებით გადაადგილებული და შშმ პირი	7
და სხვა	3,001

დახმარების სახეებიდან გაწეულია შემდეგი:

ზეპირი კონსულტაცია	4,137
წერილობითი კონსულტაცია	2
სამართლებრივი დოკუმენტის შექმნა	2
საპროცესო დოკუმენტი	457
წარმომადგენლობა	53
განცხადება	73
ადმინისტრაციული საჩივარი	222
მატრეიალურად შედგენილი დოკუმენტი	224

მომართვიანობის რაოდენობები **თემატიკის** მიხედვით შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

კომუნალური	39
სახელშეკრულებო	419

სასარჩელო	855
„ატსტუპნიკები“	62
საოჯახო	288
სამემკვიდრეო	138
სააღსრულებო	83
სოციალური	651
ამხანაგობები	129
უძრავი ქონება	473
შრომითი ურთიერთობები	82
სამოქალაქო აქტები	22
საჯარო რეესტრი	176
სამეზობლო დავა	146
საგადასახადო-სამეწარმეო	18
სამშენებლო ნებართვა	361
ადმინისტრაციული წარმოება	371
ადმინისტრაციული სამართალდარღვევა	213
უკანონო მშენებლობა	448
რეპრესირებული (აღიარება/კომპენსაცია)	1
უდაო წარმოება	106
ბინის პრივატიზაცია	84
ინტელექტუალური სამართალი	5

„იურიდიულ კლინიკის“ ცხელ ხაზზე შემოვიდა **4,578** **ზარი.** აქედან ზეპირი სამართლებრივი კონსულტაცია გაეწია **2,398** **მოქალაქეს,** რაც **თემატიკის** მიხედვით შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

კომუნალური	30
სახელშეკრულებო	185
სასარჩელო	246
„ატსტუპნიკები“	13
საოჯახო	64
სამემკვიდრეო	80
სააღსრულებო	31
სოციალური	372
ამხანაგობები	240
უძრავი ქონება	157
შრომითი ურთიერთობები	41
სამოქალაქო აქტები	47
საჯარო რეესტრი	94
სამეზობლო დავა	98
საგადასახადო-სამეწარმეო	52
სამშენებლო ნებართვა	191
ადმინისტრაციული წარმოება	183
ადმინისტრაციული სამართალდარღვევა	125
უკანონო მშენებლობა	107

რეპრესირებული (აღიარება/კომპენსაცია)	3
უდაო წარმოება	11
ბინის პრივატიზაცია	27
ინტელექტუალური სამართალი	1

დაწყებული სასამართლო და ადმინისტრაციული წარმოებებიდან (სულ ვაწარმოეთ 2093 საქმე), წარმატებით დასრულდა 276, ხოლო მიმდინარეა 1558 საქმე, არ დაკმაყოფილდა 204, მოქალაქემ არ შეიტანა 28 სასამართლო დოკუმენტი, გამოიხმო 20, არ მიიღო წარმოებაში 2, საქმის წარმოება შეწყდა 3 საქმეზე, ხოლო განუხილველად დარჩა სულ 2 საქმე.

საკვლევი პერიოდის განმავლობაში სულ განხორციელდა 44 წარმომადგენლობა.